№ 255 — 1877—1897 — № 255

ოთხშაბათი 10 დეკემბერი, 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

ოთხშაბათი 10 დეკემბერი, 1897 წ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 დეკემბერს,

**ბენეფისი ბ-ნ კანდელაკისა**

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

## რევიზორი

კომედია 5 მოქმედ. თხზ. გოგოლისა თარგმ. ა. ქიქინაძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, კარგარელი, რჩეულოვისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

## ვყიდულობთ



ცოცხალს, კავკასიის გარეულ ცხოველებს:

ირმებსა, ჯეირნებს, ვეფხვებს, ჯიხვებს, ხრჩვებს, არნებს, ფოცხვერებს და სხვ.

**საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.**

მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში; სახლი ბარამოვისა. იკითხე ჭუგო გინკლერი. (6—212—5)

## იაფად ისყიდება

**ადგილი**, 65 ოთხ-კუთხი საჟენი, ვერაზე, ნაგორნი ქუჩაზე. საჭირო ცნობებისთვის მიჰმართეთ ზ. ღოღაძის წიგნების საგაზმოში, მიხეილის ქუჩა, № 43. (3—216—1).

## ახალი ამბავი

—

⁂ დღეს, 10 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს კრებაა დანიშნული.

⁂ გუშინ, 9 დეკემბერს, ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ვერ ვიკისრებ უპატრონო ძაღლების ჭერას და ლეშების კრებას იმ პირობით, რა პირობითაც ქალაქის გამგეობასა ჰსურსო. გამგეობა პირობათ უდებს, რომ ხსენებულმა საზოგადოებამ ააშენოს ღუმელი პირუტყვთა ლეშის დასაწვავად და თავისის მხრივ უნიშნავს წლიურად 1,200 მან. ამას გარდა, გამგეობამ უნდა მისცეს საზოგადოებას თითო პირუტყვის გატანისა და გატყავებისათვის 1 მან. 50 კ. საზოგადოება მხოლოდ ამ უკანასკნელ პირობაზედ არ არის თანახმა, ის პირუტყვების გაზიდვისა და გატყავებისათვის 3 მანეთს თხოულობს.

⁂ 8 დეკემბერს ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში დანიშნული იყო გასასყიდად ქალაქ ტფილისის მამულები. გამოცხადებული იყო გაზეთებში გასასყიდად სულ ორას ერთი მამული, ხოლო რადგან ვაჭრობის დაწყებამდე ხვედრი გარდასახადი შემოტანილ იქმნა, ამის გამო ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ თერთმეტი მამული, აქედგან გაიყიდა რვა მამული და დარჩა ხელ-მეორედ ვაჭრობით გასასყიდად სამი მამული, რომლის ვაჭრობაც ამ წლის 29 დეკემბერს იქნება.

⁂ მცხეთის 12 მოციქულის სახელობაზედ აგებულს ეკკლესიის განახლებას, როგორც სინოდის ქართლ-კახეთ იმერეთის კანტორის საგანგებო კომიტეტის ხარჯ-აღრიცხვიდგანა სჩანს, 185,000 მან. დასჭირდება თურმე.

⁂ პარასკევს, 12 დეკემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში გამართული იქმნება წარმოდგენა ტფილისის დედათა პირველ და მეორე გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნება ოპერა „ტრავიატა“ ქ-ნ პაპაიანის და ბ-ნ კამიონის მონაწილეობით. ორსავე გიმნაზიაში ამ ჟამად 1,500 ქალი მეტი სწავლობს, რომელთა უმრავლესობა მეტად ღარიბია და ზემოხსენებული საზოგადოება იმათ დიდს დახმარებას უწევს.

⁂ ვერ იქმნა, ვერაფერი გააწყო ქალაქის გამგეობამ ჩვენს მეპურეებთან. მკითხველებმა უკვე იციან, რომ პირველი ხარისხის პურის ნიხრი დაუკლეს, სახელდობრ, 5 კაპ. მაგიერ, 4 კაპ. გახადეს. ვიდრე ნიხრი 5 კაპ. იყო, მეპურეები პირველის ხარისხის ფქვილისას აცხობდნენ და პური კარგი იყო, ხოლო რაც ნიხრი დაუკლეს, პირველის ხარისხის პური მეორე ხარისხის ფქვილისგან თითქმის სულ აღარ გაირჩევა. მესამე ხარისხის პური-კი ისევე ცუდია, როგორიც წინად იყო, იმის მიუხედავად, რომ ნიხრს მოუმატეს და, 2½ კაპ. მაგიერ, 3 კაპ. გახადეს.

⁂ კვირას, 7 დეკემბს, მემუსიკეთა საზოგადოების ტფილისის განყოფილებას წევრთა საზოგადო კრება ჰქონდა. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა საზოგადოების მოქმედების წლიური ანგარიში და შემდეგ აარჩია სხვა-და-სხვა თანამდებობის კაცნი. დირექტორებად არჩეულ იქმნენ: გ. მ. თამამშევი და ი. მ. ალიხანოვი, მათ კანდიდატად ი. ა. სულხანიშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ს. ს. ისტამანოვი, პ. მ. დოლუხანოვი და ი. ა. სუზანაჯიანი.

⁂ ბერძენთა წმ. ეკატერინეს სახელობის ეკკლესიის წინამძღოლად, მ. ნიკიფორეს ნაცვლად, რომელიც საბერძნეთში წავიდა, დანიშნულ იქმნა არქიმანდრიტი მამა ამფილოხი, რომელიც უკვე ჩამოვიდა ტფილისში. არქიმანდრიტი ამფილოხი სინაის მონასტრის ძმობის ერთი წარმომადგენელთაგანია და დიდი ხანია ამ ძმობას ემსახურება.

⁂ ამ დღეებში კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას საგანგებო კრება ექნება. ამ კრებაზედ განხილულ იქნება ტფილისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

⁂ სომეხთა კავკასიის საქველმოქმედო საზოგადოების ახალქალაქის განყოფილებას აზრად აქვს ახალ-ქალაქში საფეიქრო და საქსოვი სახელოსნო დააარსოს. ხსენებულ საზოგადოების განყოფილება კიდეც შეეკითხა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, შეგვატყობინეთ, სად შეიძლება შევიძინოთ ასეთის სახელოსნოს წესდება და პროგრამა და თუ საჭირო იქნება შუამდგომლობა გაგვიწიეთ, რომ მეურნეობის სამინისტრომ რაიმე დახმარება აღმოგვიჩინოსო.

⁂ ტფილისის საყასბოში ამ ბოლოს დროს დღეში 300-ზედ მეტი ღორი იხოცება. ღორის ხორცის გვარის (ფინნა) პროცენტი ათს აღემატება და, მინისტრის ბრძანების ძალით-კი, მხოლოდ ისეთის ღორის ხორცის გაუქმება შეიძლება, რომელსაც გვარი ძალიან აქვს მორეული. ისეთ ღორის ხორცს, რომელსაც თუმცა გვარი აქვს, მაგრამ არ აუქმებენ, შემდეგი დამღა აზის: „ФИННЫ Т. Г. Б“.

⁂ ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოების მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა გრიგორ კონიევმა მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა, რომ რადგანაც ხმა დადის, ვითომ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის კასსას ფული აკლდეს, მოხელე გამოგზავნეთ, რომ რევიზია უყოს ამ კასსას და ნამდვილად გამოაშკარავოს, მართლა არის რამ დახარჯული, თუ არა. ამასთანავე, ბ-ნმა კონიევმა წარუდგინა გუბერნატორს საბუთის ქაღალდები იმის შესახებ, რომ მას ტფილისში საკუთარი მიწა აქვს, ზომით 3,600 ოთხ-კუთხი საჟენი, და განაცხადა, რომ თუმცა ძალიან ეჭვი მაქვს, მაგრამ თუ მართლა აღმოჩნდა, რომ კასსას ფული აკლია, ჩემი მამულები იყოს იმ დანაკლისის უზრუნველსაყოფელადაო.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს: საერო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამიერ კავკასიის საერობო ფულიდგან იქმნას ხოლმე გასტუმრებული ის ხარჯი, რაც ტფილისის გუბერნიის სოფ. გომბორის, ალის, წალკას, შულავერისა და ჯელალოღლის ერთკლასიან ნორმალურ სასწავლებლებს სჭირდებათ, სახელდობრ წელიწადში 4,500 მან. თითეულს 900 მან. ეს ხარჯი 1898 წლის პირველ იანვრიდგან საერობო ხარჯთ-აღრიცხვაში იქმნება შეტანილი, ხოლო წელს გასტუმრებულ იქმნება იმავე გარდასახადის დარჩენილის თავისუფალის ფულიდგან.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ მე-2 კლასიკურ გიმნაზიის ინსპექტორი ივანიცკი ტომსკის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად იქმნა დანიშნულიო.

⁂ სოფ. ბრილი, (გორის მაზრა). 30 ნოემბერს, საღამოს 9 საათზედ, თავ. დიასამიძეთა სახლისკენ მოდიოდა ხუთი ვიღაცა მგზავრი. ამ დროს სახლში იყო მხოლოდ კ. დიასამიძე, ჩაჩანი გაბრიელ მუგაკოვი და იმერელი ჯაფარიძე. მგზავრები მოუახლოვდნენ თუ არა სახლს, გაბრიელ მუგაკოვმა თოფი ესროლა, „ვაიმე დედა“-ო, მოისმა ხმა თოფის დაცლისათანავე და ერთი მგზავრთაგანი დაეცა მიწაზედ. დანარჩენები მისცვივდნენ წაქცეულს, „ჯერ არ მომკვდარა“-ო წაილაპარაკეს, ხელში აიყვანეს წაქცეული და სოფ. წაბლოვანისკენ გაუდგნენ გზას. რამდენისამე წუთის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ორი მგზავრი, იმათაც თოფის ტყვიით მიეგებნენ, რომელნიც მაშინვე გაიქცნენ. მალე 15 ბრილელმა მოიყარა თავი თავ. დიასამიძეთა სახლთან. იშოვნეს სანათი და გაუდგნენ იმ გზას, საითკენაც მოგზაურები გაიქცნენ. ცოტა ხნის შემდეგ შეამჩნიეს სისხლი მიწაზედ სოფ. წაბლოვანისკენ 50 საჟ. მანძილზედ. შემდეგ სისხლის კვალი სოფ. ბრილისაკენ მიდიოდა. სოფ. ბრილის მამასახლისის თანაშემწემ ჯეროვანი ოქმი შეადგინა. ტფილისის გუბერნატორის განკარგულებისამებრ გორის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი აზარპეტოვი ამოვიდა სოფ. ბრილში საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად და იმედია, რომ ამ საქმის ყოველივე ვითარება მალე იქმნება გამორკვეული. („ტფ. ფურ.“)

⁂ ორი სომხის ვაჭარი, „მშაკის“ სიტყვით, კავკასიიდგან ჩინეთში წასულან, იქ კაკლის კუნძებით ვაჭრობა დაუწყიათ და ერთს 14,000 მან. მოუგია.

⁂ სომხურ წიგნთა გამომცემელს ამხანაგობას თავის დაარსებიდგან 1880 წლიდგან 1897 წ. 140-მდე წიგნი გამოუცია.

## ქალაქის საბჭო.

8 დეკემბერი

პირველად ქალაქის საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ფარდულებად გამართულ საავადმყოფოსათვის ფულის გადადების შესახებ. ეს საავადმყოფოები ნავთლუღშია გამართული და ჯერ კარგად არ არის მოწყობილი.

საბჭომ დაადგინა გადასდოს 3,300 მ. ამ საავადმყოფოებში წყლის მილის გასაყვანად, ადგილის დასაგეგმად და გზის გასაკეთებლად.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობისავე მოხსენება კათოლიკეთა სასაფლაოსათვის მიწის გადადების შესახებ.

საბჭომ დაადგინა დაუთმოს სასაფლაოს 1,384 ოთხ-კუთხი საჟენი.

წაკითხულ იქმნა ქ-ნ გრიშჩენკოს თხოვნა იმის შესახებ, რომ სისრულეში არ იქმნას მოყვანილი მომრიგებელ-მოსამართლის დადგენილება გრიშჩენკოს სახლის წინ ამოთხრილის ფანჯრის სანათურის გაუქმების შესახებ. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის, მაგრამ ვერაფერი ვერ გამოარკვია და ამიტომ საბჭომ დაადგინა, კომისია აარჩიოს და იმას მიანდოს ამ საქმის გამორკვევა.

წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ქალაქის საზოგადო წიგნთსაცავის და სამკითხველოს დაარსების შესახებ. საბჭომ ამ რამდენისამე ხნის წინად გადასწყვიტა მათის უდიდებულესობის ქორწინების სახსოვრად დააარსოს საზოგადო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. გამგეობამ გაგზავნა თხოვნა ამის ნება-რთვისა, მაგრამ უარი მოუვიდა იმის გამო, რომ მაგ საქმისათვის საჭირო ფული არ არის გადადებულიო.

საბჭომ დაადგინა წარუდგინოს ბ-ნ გუბერნატორს დასამტკიცებლად

წიგნთ-საცავის დაარსების პროექტი და გადასდოს ერთ-ხანად 4,000 მანეთი, წიგნთ-საცავის ფონდის დასაარსებლად. ამასთანავე საბჭომ გადასწყვიტა აღძრას ხელ-ახლად შუამდგომლობა, რომ წიგნთ-საცავი მათის უდიდებულესობის ქორწინების სახსოვრად იქმნას დაარსებული.

ბოლოს საბჭომ აირჩია იმ კომისიის წევრებად, რომელსაც ტფილისის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის საქმე აქვს მიდობილი, ხმოსნები ა. ბ. ევანგულოვი და ლ. ფ. ტიგრანიანი. ამას გარდა, დაადგინა გადასდოს 1,000 მანეთი, რომ ამ კომისიამ ბუჰალტერი და მცოდნე კაცები მოიწვიოს.

კრება 11 საათზედ დაბოლოვდა.

# თეატრის მატიანე

### საქველ-მოქმედო წარმოდგენა

ორშაბათს, 8 დეკემბერს, სცენის მოყვარეებმა, კნეინა ნ. დ. ჩოლოყაშვილის თაოსნობით, სახელმწიფო თეატრში გაჰმართეს ქართული წარმოდგენა ცხოველის სურათებით ქართულის თეატრის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ორ-მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარლისა „ბაიყუში“ და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი თავ. რ. ერისთავისა „ბიძიასთან გამოხუმრება“.

წარმოდგენამ საერთოდ, სცენის მოყვარეთა შესაფერად კარგად ჩაიარა. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ სულ ყველა მოთამაშეებს საუცხოვოდ ჰქონდათ დასწავლილი თავისი როლები. „ბაიყუშში“ განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს თავადის ასულმა ს. ზ. ანდრონიკაშვილისამ, თალიკოს როლის აღმასრულებელმა, და თავ. ა. რ. ვახვახიშვილმა, რომელმაც მოხდენილად ჩაატარა რევაზ თავქარიანის როლი. ელისაბედის როლს თამაშობდა კნ. ს. მ. წერეთლისა, გასპარ ტერ-ფუქსავატიანცისას — თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და ვარდკაპაშვილისას ბ-ნი გ. დ. ჟურული.

მეორე პიესამ — „ბიძიასთან გამოხუმრება“მ გაცილებით უფრო უკეთ ჩაიარა. მშვენივრად შეასრულა ნატოს როლი თავადის ასულმა ე. მ. წერეთლისამ, კარგი იყო აგრეთვე ივანიკას როლში თავ. ა. დ. თუმანიშვილი. არა უჭირდა რა იორამის როლში თავ. ნ. მ. ჯორჯაძეს, ხიჩილას როლს ასრულებდა თავ. ა. რ. ვახვახიშვილი, მსახურ გოგოსას — თავადის ასული ს. ზ. ანდრონიკაშვილისა და ალექსანდრესას — თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი.

შემდეგ, მესამე განყოფილებაში, ზ ნ კავსაძის ხორომ რამდენიმე საერო სიმღერა იგალობა და ამავე დროს საუცხოო ცხოველი სურათები იქმნა გამართული შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნიდგან“. სულ ხუთი სურათი დადგეს: ტარიელის შეხვედრა ნესტან-დარეჯანთან, დავარი ნესტან-დარეჯანს ქაჯეთში ჰგზავნის, ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა, ნესტან-დარეჯანი ფატმანთან და რუსთაველი „ვეფხის ტყაოსანს“ თამარ მეფეს მიართმევს. ნესტან დარეჯანად პირველსა და მეოთხე სურათში იყო თავადის ასული ე. ლ. მაღალაშვილისა, მეორეში — თავადის ასული ბ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილისა, თამარად — თავადის ასული ნ. ი. ამილახვარისა, ტარიელად — თავ. დ. კ. მიქელაძე და ავთანდილად — თავ. ა. დ. ერისთავი.

საზოგადოება წარმოდგენით დიდად ნასიამოვნები დარჩა და ცხოველ სურათებს, ლამაზად და მოხერხებულად დადგმულს, დიდის აღტაცებით მიეგება. მთლად სახელმწიფო თეატრის დარბაზი ჩვენის დედაქალაქის საუკეთესო საზოგადოებით იყო სავსე. ორასამდე სული კიდევ უკან გაბრუნდა ისეთი, რომელიც გულით მოწადინებული იყო ამ წარმოდგენაზედ დასწრებას, მაგრამ ადგილი ვერ იშოვნა. სასურველია, რომ ეს წარმოდგენა განიმეორონ. დარწმუნებულნი ვართ, რომ საზოგადოებაც სიამოვნებით დაესწრება და სცენის მოყვარენიც უკეთესად შეასრულებენ თავისს როლებს.

წარმოდგენას კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი დაესწრო.

მ.

### წერილი ქიზიყიდგან.

22 ნოემბრამდის ჩვენსკენ მშვენიერი მადლიანი და კაშკაშა-ბრწყინვალე დღეები იდგა; ამ დღიდგან-კი ბუნება ერთბაშად იცვალა, ნათელ-ბრწყინვალე დღეები ჟანღ-ბურუსმა შესცვალა და ისე დაეწაფ-დაეკონა იგი მთა-გორა-კლდიან ადგილებს, გეგონებოდათ ნატვრის თვალ-მარგალიტი იმალება ამ ხევ-ხუვიან ადგილ-ნაპრალებში, რომ ასე დაჟინებით-ხარბად გადაჰფარებია გაცხარებულ კრუხივითაო. სწორედ რომ სთქვას კაცმა, ასეთი ნისლ-ღრუბლიანი ამინდი უფრო შეესაბამებ-შეეფერება ჩვენებურ მკვიდრთა უმრავლესობის სულის მდგომარეობას, სანამ უხვ-სხივოსანი დღეები. სევდა-მწუხარების მომგვრელ ნისლივით ჩასწოლია ჩვენებურ გლეხ-კაცს გულში ნაღველი, სარჩოს ნაკლებობისაგან გამოწვეული, და ეს მჭმუნვარება ნათლად დასტყობია მის დაღვრემილსა და დანაოჭებულს პირი-სახეს. შარშანაც სულადი ნაკლებად მოვიდა, მაგრამ წინა წლებიდგან გადარჩენილ-შენახული მოსავალი სულადის დაძვირებას ხელს უშლიდა, რის გამოც გლეხკაცს ძალიან არ უძნელდებოდა სარჩოს შეძენა. წელს, რაკი გამოილია ეს დაუნჯებული სულადი, ფასებმაც ძალიან აიწია. ეხლა სამს მანეთს ნაკლებ კოდ პურს ვერ იშოვნით და ცხრა აბაზ ნაკლებ კოდ ქერს. სულადზედ ფასების მომატება მაშინ იქნებოდა ჩვენის გლეხ-კაცობისათვის ხელ-საყრელი, იმდენი სარჩო რომ მოსლოდათ, რომ შინ საჭმელადაც ჰყოფნოდათ და გარეთ გასასყიდიც დარჩენოდათ, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ მომეტებული მათგანნი სყიდვის გზაზედ დამდგარან. კიდევ დიდი უბედურება არ იქნებოდა, თუ რაიმე იოლი იყოს და ჩვენს გლეხკაცს სახლში ფული მაინც მოეძებნებოდეს სარჩოს შესაძენ-სასყიდლად. სამწუხაროდ, ამ ლითონის შოვნაც ძალიან გაძნელებულია ეხლანდელს დროში. სოფელში ორ-სამ კომლს არ მოეძებნება ჰარბად ფული, დანარჩენნი ლუკმა პურის შოვნაში ჰლევენ თავიანთ ძაღლ-უმადლო ცხოვრებას და ეს დღემუდამ ზრუნვა მარტო-ოდენ ცოლ-შვილის გამოკვებასა და ხარჯ-გადასახადების გასტუმრებისათვის უხშავს კაცს ყოველგვარ კეთილ გრძნობას, უსპობს სულიერს მოთხოვნილებათ, გრძნობას ადამიანურ-კაცურ-კაცობისას. აწ ვინ მოაცლის საწყლებს სულიერ მოთხოვნილებისათვის იზრუნოს რაიმე, როდესაც მთელი მათი არსება იმ დაწყევლილ და თავპირში საცემ აზრს მოუცავს, ხვალ კარებზედ გზირი მოგვადგება და პასუხი რომელ ეშმაკით უნდა გავცეთო. მოდი და თქვენ ამისთანა თავს რეტ-დამსხმელ გარემოებაში შეინარჩუნეთ ღვთიური ნაპერწკალი, ზრუნვა საძმო-საერთო საქმისა და მოყვასის მიმართ. ყველას თავისი თავი გაჰხდომია სატირლად, საჭირისუფლოდ. მიზეზიც ეს არის, რომ ბოდბელის ნათქვამი სიტყვები „სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირი“, ზედ-მიწევნით მოკლეთ და მკაფიოდ გამოჰსახავს ჩვენებურების ცხოვრების შინაარსსა და მისწრაფებას.

განა ის ცხოვრების უბრალო მაგალითი, რომ ძმა ძმასთან, რძალი რძალთან, მეზობელი მეზობელთან და სხ. ვერ მოთავსებულ-მორიგებულა, საკმარისი არ არის ამ აზრის საბუთიანობის დასამტკიცებლად? რა აქვთ გასაყოფი, სადავიდარაბო? ისა, ბატონო, რომ თითოეული მათგანი თავისს სათავნოს მომატება-გაბევრებისათვისა ჰფიქრობს მალვითა და ცხადად, ყველა თავისკენ ითლის ეჩოსავით და აბა ამისთანა ოჯახში ერთობა ძმობა რაღა მანქანებით შეიძლება დაამყაროთ. ამისთანა ჯოხითურს ერთად ცხოვრებას, უღელი ხარისა და ორ წყვილ ქათამ-ინდოურის განაწილებას ამჯობინებენ.

ეს სავალალო შენ-ჩემობა ნამეტან თვალ საჩინოდ ეხლანდელ ჩვენებურ სოფლობას დაეტყო, სადაც, ცოტად თუ ბევრად, უნდა სჩანდეს კაცის საზოგადოებრივობა, ზრუნვა საერთო, სასოფლო საქმისათვის. თქვენც არ მომიკვდეთ!.. ეს სოფლობა ბაბილონის გოდოლის შენებას უფრო წააგავს, სანამ ადამიანთა წესიერ და დარბაისელ კრებასა და სჯა-ბაასს, ერთი ალთას იწევს, მეორე ბალთას, ყველას თავისი საკუთარი კერძო საქმე გაუხდია სალაპარაკოდ და საჩხუბ-სამწვიტინებლად. სოფლის საქმეები და იმისს მკვიდრთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა-კი იმისთანა კაცთ უგდიათ ხელში, რომელნიც სულ იმისს ცდა-მეცადინეობაში არიან, მღვრიე წყალში ბლომა თევზი დაიჭირონ.

როდემდის უნდა იყოს ამისთანა სატირელს მდგომარეოაში ჩვენი გლეხ-კაცობა? თვით ხომ არ ძალუძთ ამ ჯოჯოხეთზედ უარესს ცხოვრებას თავი დააღწიონ, ვინაიდგან ამისათვის საჭიროა აღჭურვილი იყოს იგი სწავლა-განათლება - თვითცნობიერებით, თავისის სავალალო მდგომარეობის შეგნება-გათვალისწინებით. ყოველსავე ამას მოკლებულია ჩვენი გლეხ-კაცი. თუ იმ იმედით დავდგებით, რომ აცა, როდესმე თვით შესძლებს თავისის ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესებასაო, ძალიან მოვტყუვდებით, რადგანაც ბევრი მამალი იყივლებს, სანამ ჩვენის გლეხკაცის ბნელ-კუკუმეთით მოცულს სამყოფს რაიმე მბჟუტავი სხივი მაინც შეაჭყეტ-შეანათებს და ამითი გააცისკროვნებს აშმორებულს სამყაროს. იმ დრომდის-კი ჩვენი გლეხკაცობა უკიდურესობამდის მიაღწევს და მაშინ იქნება გვიან-ღა იყოს „თითზედ კბენანი“.

—

ორიოდე სიტყვა ჩვენებურ მეთამბაქოების შესახებ. წელს თამბაქოს

# ფელეტონი

### ჭ ა ღ ა რ ა

(ეტიუდი)

### I

„ჭაღარა, ჭაღარა, ჭაღარა!!“ — განუწყვეტლივ ჩაესმოდა კნეინა მარიამის ყურს, ჩაესმოდა და, როგორც კვერ-დაკრული ლურსმანი, ისე ესობოდა მის გრძნობა-გონებას.

თითქმის ერთის საათის განმავლობაში გაუნძრეველი იწვა ლოგინზედ, უაზრო, სადღაც შორს, ფიქრში წასული თვალები ჭერისათვის მიეპყრო; ალისფერ ატლასის საბანზედ მოწყვეტილსავით გადაეგდო მარჯვენა ფუნჩულა მკლავი, აქა-იქ დაჟსელილი მოლურჯო ძარღვებით, რომელთა ნაზი ფეთქა დაგარწმუნებდათ, რომ ეს თვალებ-მილულული, ფიქრად ქცეული არსება ცოცხალი იყო.

ხელში ეჭირა პაწია სარკე ოქროთი მოზარნიშებულ სპილოს ძვლის ჩარჩოში ჩასმული.

ხან-დასმით ქალის სახეს მოძრაობა ეტყობოდა, ნაღვლისაგან მობურულს ნისლს უეცრად მოვლინებული იმედი ფრთას გადაუწევდა ხოლმე, ცოტა არ იყოს ,ქალის სახეს ნათელსა ჰფენდა; ამ დროს სარკის მჭერავი ხელი სახეს უახლოვდებოდა და ქალის თვალები სარკეში გაფაციცებით რაღაცას ეძებდა, პატარა ხნის შემდეგ ჰპოულობდა ამ „რაღაცას“ და ამ გარემოებით სასო-მიხდილ კნეინას მკლავი მოკვეთილსავით ეშვებოდა საბანზედ; სახეს-კი თანდათან უფრო ძლიერად, უფრო პირ-ქუშად ღრუბელი ეფინებოდა და კვლავ გაისმოდა ის საშინელი სიტყვა: „ჭაღარა, ჭაღარა!“ ო.

მერე რა სასო-წარმკვეთი, ნაღველ-მწარი ხასიათი ჰქონდა ამ ჩამოძახილს, თითქოს სატანას რაც რომ გესლი, დაცინვა ჰქონიყო, ყველა ეს ამ საშინელს სიტყვაში ჩაეწვეთებინა, ამ გესლით გაეჟღენთა იგი.

დრო-კი იყო ადგომისა, ბუხარზე მდგარი საათი უკვე მორჩა გველსავით სისინს, დროს მაჩვენებელი ისარი „თერთმეტს“ გაუყარა და ახლა დაუღალავ დედაკაცსავით უზრუნველად ტიკტიკებდა. ფარდა გადაწეულს ფანჯარაში მზეს თავისი ერთ-ერთი უშვებელი სხივი გადმოეშო, რომელიც საბნის ქვეშიდგან მორცხვად გამომყურავ პაწია ფეხს ქალისას კრძალვით ოქროს-ფერ მტვერს აფენდა, გეგონებოდათ, ვერ გაუბედნია სახისა და გულ-მკერდის სიმშვენიერეს მიუძღვნას სალამი და მხოლოდ ქალის ფერხთა წინაშე იხრის ქედსაო.

მაგრამ კნეინას არაფრად ეპაშნიკებოდა მზის სალამი, ის სალამი, რომელიც ყოველთვის სიამოვნებას მოჰგვრიდა ხოლმე, საბანს უფრო დიდად გადააწევინებდა და ამაყად წარმოათქმევინებდა: „მზეც-კი მემეარშიყება“-ო. ის ახლა თვით ამ სხივის ალერსში თითქოს დაცინვას ჰხედავდა.

„რა იყო მიზეზი, — იკითხავს მკითხველი: კნეინა მარიამის ასეთის უგუნებობისა„-ო?

— ძალიან მცირე რამ, ვუპასუხებთ: აი რა იყო:

როდესაც კნეინას მოახლე გოგო ოთახში შემოვიდა, ფანჯარას ფარდა გადასწია და, როცა მზის ზემოხსენებულმა სხივმა ოთახს იდუმალი ბინდი, ის იდუმალი ბინდი, რომელიც მხოლოდ მდიდარის, ამასთანავე ძალიან ლამაზის ქალის, საწოლ-ოთახში თუ დაისადგურებს ხოლმე მყუდროდ, დიაღ, ის იდუმალი ბინდი მოაშორა და ნათელი მოჰფინა, კნეინა მარიამმა თვალები ზანტად გაახილა, მერე ცოტა აახამ-დაახამხამა, რადგანაც სინათლე ეუჩვეულა, შემდეგ საბნიდგან მკლავები ამოაძვრინა, მაღლა ასწია, ერთი ხელის თითები მეორესას ჩააწნა და ამ რიგად ერთი ლაზათიანად გაატკაცუნა, თანაც სანდოიანად გაიზმორა, რის გამოც მარჯვენა ფეხმა ღამის ჩადრი მოიხსნა და თავისი პაწია თითები ნაზის რხევით მზის სხივს მიუშვირა. აქ კნეინა მთქნარებით გადასწვდა იქვე საწოლთან-მდგარ პაწია ტაბლას და ის სარკე აიღო, რომელიც ჩვენმა ბედნიერმა თვალებმა უკვე იხილა. აიღო და, რასაკვირველია, შიგაც ჩაიხედა კმაყოფილის ღიმილით, კმაყოფილის ღიმილით-კი იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო — სარკე კვლავ გაიმეორებდა თუთიყუშივით გაზეპირებულს სიტყვებს: „ლამაზი ხარ, ლამაზი, ახალგაზდა!-ო“.

მაგრამ ვერ წარმოიდგენთ კნეინას გაკვირვებას, განცვიფრებასა და აღელვებას, როდესაც, სარკეში ცქერის დროს, იმან შეჰნიშნა — ოჰ, ღმერთმანი, სათქმელადაც-კი მეშინიან...იმან შეამჩნია ერთი თეთრი ბეწვი, ვერცხლის ძაფის მსგავსი, რომელიც უცნაურად ჩასწნოდა გიშრის გვირგვინსავით თავზე დადგმულს, სამოთხ გრეხილად შემოხვეულს კნეინას თმას და როგორღაც ობლად გამოიყურებოდა, გეგონებოდათ თეთრი ადამიანი შავ-კანიან ხალხთა ბრბოში ჩავარდნილა, თავი ველარ დაუღწევია და უთვისტომობის გამო დაობლებულაო.

პირველად არ დაიჯერა, აბრეშუმის თეთრი ძაფი ეგონა, სტაცა ხელი და განზე გამოსწია; ძაფი განშორდა დანარჩენ ბეწვთ, მაგრამ როდესაც კნეინამ დააპირა მისი შორს გადაგდება და ამით გულის დამშვიდება, უეცრად თავის კანმა გაუელვა, თითქოს ნემსი უჩხვლიტესო. ახლა-კი დარწმუნდა, დარწმუნდა, რომ ის თეთრი ძაფი, ძაფი-კი არა, მისი ნამდვილი თმა იყო, თმა ჭაღარა, ჭაღარა იმისს თავზე აღმოცენებული.

პირველი მოძრაობა ქალისა გაბრაზება იყო. იგი გამძვინვარებით კვლავ სწვდა იმ საშინელს ბეწვს და, ის იყო, უნდოდა ძირიანად ამოეგლიჯა, საშვილი-შვილოდ ხსენებაც-კი განექრო მისი, მაგრამ აქ ჭაღარამ, თითქოს ობლობის, მორჩილების იერი შეიცვალა, უცნაურად ათრთოლდა და ყურში იდუმალად ეს სიტყვები ჩასჩურჩულა: „თუნდა ამომგლიჯო კიდეც, საქმეს ვერას უშველი; ჩემი თესლი შენს არსებაში უხვად არის გაბნეული!იცოდე, დრო თავისს ხარკსა თხოულობს!“-ო.

დიაღ, ეს სიტყვები იყო, რომ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლა-მოყვანა და კრეფა-დამტებათ დაწყობა, მწარმოებელთ, შარშანდელ წელთან შედარებით, ძვირად დაუჯდათ, რადგანაც, გვალვიან ზაფხულის გამო, სარწყავი წყალიც ძვირი იყო და მოჯამაგირეების შენახვაც, პურის სიძვირისა გამო, მეტი დაჯდა, ყოველ ამ გარემოების მიუხედავად, თამბაქოს მყიდველებს ჰსურთ თამბაქო, შარშანდელზედ ნაკლებ თუ არა, მეტად არ ჩაიგდონ ხელში. იმას ნულარ ვიტყვით, რომ წრევანდელი თამბაქო გაცილებით სჯობია წინა წლების თამბაქოს თვისებასიმაგრითა და ფერით. აი რაგვარ ხრიკებსა ჰხმარობენ თავიანთ გულის წადილის ასასრულებლად მოვაჭრენი. უწინარეს ყოვლისა „დაბალი თამბაქოები იყიდეს იაფ ფასად, რა არის, ამით მაზანდა გავტეხოთო. ეხლა ყველას იმას ეუბნებიან, თუ გინდათ, თქვენც იმ ფასად, ე. ი. ფუთი ოთხხუთ მანეთად, მოგვეცით და ვიყიდითო. თუ ეტყვი, თქვენგნით პირველად ნასყიდი თამბაქოები დაბალის თვისებისა იყოო, გიპასუხებენ, თქვენ თამბაქოსი რა იცით, იმაზედ კარგი თამბაქო არავის არა გაქვთო. აბა რას იზამენ საწყალი მეთამბაქოები, უნდა აიღონ და მიჰყიდონ ისე, როგორც თვით უზით, იმას ნულარ ვიანგარიშებთ, რამდენი ოფლი უღვრიათ თამბაქოს მოყვანის დროს. მაშ როდემდის შეუძლიან ელოდოს მუშტარს, ყელთამდის ვალებში ჩაფლულმა კაცმა... როდის იქნება გვეღირსოს „მეთამბაქოეთა ამხანაგობა“, რომ თავი დავაღწიოთ ამ ჩვენს სარჩობელა ჩარჩ-მოვაჭრეებს.

—

მაგრამ მელას თავისი მარჩობელა უყვარდაო, სწორედ ჩვენებურებზეა ნათქვამი. ეჩიჩინებიან, დედავ, შვილო, თუ სავაჭრო საქონელი გქონდეს რაიმე სასყიდელი, შენ მოსისხლე-მყვლეფავ მტრის დუქანში კი ნუ გაჰქანდები ხოლმე შურდულივით, აგერ თქვენს საკეთილდღეოდ დაარსებულა დეპო, მიდი და იქ ივაჭრე, აღარც წონაში მოგატყუებენ, აღარც ზომაში, არც მეტს ფასს გამოგართმევენ და კარგის ღირსების საქონელსაც მოგცემენ—მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ესენი თავისას არ იშლიდნენ—ან რა ჰქნან, როდესაც არა აქვთ გაგება ავისა და კარგისა, ვერ უცვნიათ, მტერი ვინ არის და მოკეთე ვინა... მხოლოდ, უფალო, როდემდის... „როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება“...

ე. მ—შვილი

## წერილი სამეგრელოდგან

სწორედ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენს სამეგრელოშიაც სწავლა-განათლება ხალხში თან და თან ვრცელდება. თითქმის იშვიათია ისეთი სოფელი, ან ეკკლესია, რომ პირველ-დაწყებითი და ან ორ-კლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლა არ იყოს დაარსებული, სადაც მასწავლებლად არიან დანიშნული საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭოსაგან ისეთნი, რომელსაც სასულიერო სასწავლებლის ოთხი კლასი აქვთ დასრულებული, ან სხვაგან აქვთ სწავლა დამთავრებული, ზოგან სემინარიელებიც არიან. საეპარქიო საბჭო ამ საქმეს დიდსა და განსაკუთრებითს ყურადღ[?]ას აქცევს, რასაც ნათლად ჰმოწმობს მათ მიერ დაუღალავად მეთვალყურეობა სკოლებისა. სწორედ მადლობის ღირსია გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი თ. ჟორდანია და სენაკის განყოფილების ბლაღოჩინები მ. არისტარხოს კალანდარიშვილი, კაპიტონ გაწერელია და სხვები, რომლებიც სამრევლო სკოლების გავრცელებისათვის ხალხში მხურვალე მონაწილეობას იღებენ სიტყვითა და საქმით.

აქვე არ შეგვიძლიან დიდის გულის ტკივილით არ აღვნიშნოთ ის უკიდურესი სიღარიბე ჩვენის მეგრელ ახალ მოზარდ ბავშვების მშობლებისა, რომლებსაც თავიანთის სიღარიბისა გამო შეძლება არა აქვთ, რომ ბავშვს სასწავლო ნივთები უყიდონ და მით განაგრძელებინონ ამავე სამრევლო სკოლაში სწავლა. ჩვენ ვიცით ისეთი მაგალითები, რომ ბავშვი საოცარი ნიჭიერი იყო, მაგრამ წიგნების უქონლობის გამო სასწავლებელს თავი დაანება და შინაურის პირუტყვების მწყემსობა იკისრა. გულ შემატკივარი მასწავლებლები ანბანს ქაღალდზედ ხელით უწერენ და ისე ასწავლიან, სანამ წიგნებს იშოვნიდნენ. ამ გვარად ნაცოდვილარს ბავშვს და ან იმისს მასწავლებელს რაღა უნდა მოეთხოვებოდეს?

უწინ ჩვენი ხალხი გვარიანად იყო წელში გამართული, რადგანაც სიმინდს გასავალი და ფასი ქონდა. ბავშვე[?]საც სასწავლო ნივთები ჰქონდათ და მასწავლებლებსაც თვეში ზოგიერთები 40—50 კაპ. აძლევდნენ. დღეს-კი ეს სამოთხის კარი აგერ სამი თუ ოთხი წელიწადია, რაც საერთოდ დაკეტილია. მასწავლებლებიც ულუკმა-პურო არიან და მოსწავლე ბავშვებიც უსწავლელი რჩებიან, რასაც ნათლად ჰმოწმობს გურია სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურის ბ. თ. ჟორდანიასაგან გაგზავნილი ქაღალდი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიმართ. მართალია, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ გამგეობას ცოტაოდენი წვლილი გაუღია, რისთვისაც მადლობის ღირსია გამგეობა, მაგრამ ეს წვლილი ისე დაჰნდება, როგორც ზღვას წვეთი. ამიტომ ფრიად საჭიროა, ვისაც ოდნავ მაინც შესტკივა, გული ჩვენს სამეგრელოს სწავლა-განათლებისათვის, სადაც „აშორდიაზმი“ ღვთის იმედით, თანდათან კლებულობს, მიაწოდონ ხალხს ის, რაც იმათის შვილებისათვის საჭირო არის. იმედია, საზოგადოებას არ დაავიწყდება თავისი ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი სამეგრელოს (კოლხიდის) ღვიძლი ძმები და მიაწოდებს რასმე ამ სამადლო საქმისათვის.

ტრიფონ კალანდარიშვილი

# რუსეთი

—

რუსეთის ჩრდილო გუბერნიების რამდენსამე მემამულეს განზრახვა აქვს იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს და მომავალ გაზაფხულს ცხენებისა, სხვა-და-სხვა პირუტყვისა და სამიწათ-მოქმედო იარაღების გამოფენა გაჰმართონ ქ. პეტერბურგში.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ ჟამად წესდებას არდგენს იმისას, თუ როდის და რა პირობით შეიძლება გაიტანონ ხოლმე სოფლის სასწავლებლების გასათბობად სახელმწიფო ტყიდგან ძირს ნაყარი შეშა.

— განზრახვა აქვთ მომავალ წელს სამრევლო საეკკლესიო სასწავლებლების საეპარქიო მზრუნველთა კრება გაჰმართონ სასწავლებელთა ავკარგიანობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საჭიროა საქალაქო საკრებულოებთან ერთი ახალის წევრის თანამდებობა იქმნას დაარსებული, რომელმაც საკრებულოს საქმეები უნდა განაგოს და ქალაქის თვით-მართველობის შესახებ აღძრული საგნები გამოარკვიოსო.

— ფინანსთა სამინისტროში აღძრულს საკითხს კეთილ-სინდისიერად ვაჭრობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომაც მიაქცია ყურადღება და ამ აზრით ყველა გუბერნატორს ცნობა მოსთხოვა იმის შესახებ, თუ როგორ და რანაირად ადევნებს თვალყურს ხელოსანთ სახელოსნო გამგეობა ამა თუ იმ ნაწარმოებით ვაჭრობის საქმეს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობები მოსთხოვა გუბერნატორს იმის შესახებ. რომ მოქალაქეთა და ხელოსანთა საზოგადოებანი ადევნებენ თვალ-ყურს სამართალში მიცემულ საზოგადოების წევრებს თუ არა და რა ღონისძიებასა ჰხმარობენ ამ ნაირ წევრების ზნე-ხასიათის გასაკეთებლადაო. აგრეთვე ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში რამდენი შემთხვევა იყო და რამდენჯერ იხმარეს ამ ნაირი ღონისძიება საზოგადოებათ, რამდენჯერ იქმნა შედგენილი განაჩენი საზოგადოების ამა თუ იმ წევრის სამართალში მისაცემად და რომელი ამ განაჩენთაგანი შეიწყნარა მთავრობამაო.

# უცხოეთი

—

**ავსტრია და უნგრეთი.** გაზეთებმა თანდათან უფრო მოუხშირეს ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ადრე თუ გვიან ავსტრია და უნგრეთი ერთმანეთს უნდა დაშორდნენ, ან ამ სახელმწიფოთა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება უნდა შეიცვალოსო. გაზ. „Berl. tagebl“ სწერს, რომ თვით მთავრობაც-კი, რომელიც აქამდე მტკიცედ იცავდა სახელმწიფოს ერთობას, იძულებული ხდება ფარ ხმალი დაჰყაროს და შეურიგდეს ავსტრი-უნგრეთის განაწილების აზრს. განსაკუთრებით ამ აზრის განხორციელებას უნგრეთის პარლამენტის ოპოზიცია არის ძალიან მოწადინებული. ამ ჟამად ვენგრიის დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისია ახალის პროექტის განხილვაშია. პროექტი შეეხება ავსტრიისა და უნგრეთის სადამოჟნო, სავაჭრო და საბანკო დამოკიდებულებას. აქამდე ავსტრი უნგრეთის სახელმწიფოს ამ ორ ნაწილის სადამოჟნო, სავაჭრო და საბანკო საქმეების შესახებ საზოგადო; ერთგვარი კანონები იყო გამოცემული, მაგრამ რადგანაც ამ კანონებს ვადა გაუვიდათ და რადგანაც ავსტრიის პარლამენტმა ამ საგნის შესახებ ახალი მოლაპარაკება არ მოახდინა, უნგრეთის მთავრობა მოწადინებულია კერძოდ თავისთვის, როგორც განცალკევებულ, თავისუფალ სახელმწიფოსთვის, შეიმუშავოს და გამოსცეს ახალი კანონები. ეს კანონები დროებითი იქმნება, ვიდრე ავსტრიის პარლა-

მოესმა, მხოლოდ ჩვენ ვერ ვიტყვით —ვინ წარმოსთქვა იგი სიტყვები, მართლა ჰაღარამ, როგორც კნეინას ეგონა, თუ თითონ ქალის თვით მხილებამ. ასე იყო თუ ისე, სულ ერთია, კნეინაზედ-კი ძალიან იმოქმედა, თითქმის გააკავა ამ სიტყვების ძალამ, ვერ გაუბედა ხელის ხლება თეთრს ბეწვს, რომელიც ახლა ისე გადასწოლოდა თმის ხვეულს, თითქოს თავს შუაზე გაპობას უპირებსო.

დაღონდა კნეინა მარიამი, დაღონდა ისე, როგორც არც ერთხელ არ დაღონებულა თავისს სიცოცხლეში; მოეშო სულითა და ხორცით; მიბნედილი მიეყრდნო ბალიშებს და ქვითინი ამოუშო.

იგი სტიროდა თავისს სიყმაწვილეს, თავისს სილამაზეს, რომელთაც წუხელი იმდენი თაყვანის მცემელი ჰყავდა და რომლითაც თვით ბედნიერი იყო. დღეს-კი ერთმა უბრალო გარემოებამ, ერთმა უსაგნო, სულელმა ჰაღარამ, რომელიც არა-რად ჩაითვლებოდა ქალის თმების გვირგვინში, როგორც ერთი წვეთი თვალ-გადუწვდენელს ზღვაში, როგორც პაწია ნაპერი ღრუბლისა ლაჟვარდოვან ცაზედ,—სავსებით მოუსპო გუშინდელი ხალისი, სინარნარე, კმაყოფილება.

მაშინ, როდესაც კნეინა დარწმუნებული იყო, რომ დროთა სვლა, ერთის წელიწადისაგან მეორეს გამოტირება ხელს ვერ შეახებს ჩემს მთვარისებურ მოსხივ-ცისკარე სიმშვენიერეს და ეგონა, ყოველთვის ამ მანათობელის მსგავსი დავრჩებიო,—უეცრად ეს იმედი, ეს ტკბილი გრძნობა კაცის ბუნების ძლევა-მოსილებისა განქრა, ვითარცა ორთქლი კაცისა თბილს ჰაერში.

ძნელია, ძალიან ძნელი, როდესაც მოულოდნელად ხელიდგან გეცლება ის, რაც აცისკროვნებს მთელს შენს ცხოვრებას, რაც მიგაჩნია არსებობის საგნად და რაც უკვდავი გგონია.

კნეინა მარიამის ცისკარი-კი იყო მისი სიყმაწვილე, სილამაზე. ეს ორი საუნჯე კაცის ბუნებისა მარიამის არსებაში ერთი მეორეზედ ისე გადაბმულიყო, იმ ზომამდე ამშვენებდნენ ერთმანეთს, როგორც დილის კამკამა ცვარი აბიბინებულს ბალახს. მარიამს თავისს დღეში ფიქრად არ მოსვლია, ვერც წარმოიდგენდა, რომ ოდესმე რომელიმე ამ საუნჯეთაგანი თან და-თან გახრწნას მიეცემოდა. იმას აინუნში არა ჰქონია ბუნების ულმობელი კანონი, ყველასათვის ერთგვარი მსაჯული, ერთ-რიგად მართლის მჭრელი; აინუნში არა ჰქონდა დროთა რბენა, რადგანაც დარწმუნებული იყო,—მე არ შემეხებაო.

მაგრამ დღეს თვალები აეხილა, რის გამოც ეს გულზვაობა მთლად დაუცხრა და ყოველი თავის ფერით დაინახა; მიჰხვდა, რომ ისიც ჩვეულებრივი მომაკვდინებელია, პირში ბურთჩაჩრილი მონაა ბუნების ზოგად კანონისა, რომელზედაც „აპელიაციას“ და „კასსაციას“ ვერსად შეიტანდა.

მწარე იყო ეს გამოფხიზლება; დიაღ, გამოფხიზლება, რადგანაც ახლა მარიამს წარსული ბუნდად, ჩარჩენილ სიზმრად ეხატებოდა.

ეს იყო პირველი წამი, როდესაც კნეინა მარიამმა თვალი გადაავლო თავისს წარსულს, გადაავლო ის თვალი, რომელსაც ერთმა ჰაღარამ აჰხადა დიდის ხნის საბურავი, ავმხარეთა მფარავი. წინად ამისათვის არ ეცალა, ერთი სასიამოვნო მოვლენა ცხოვრებისა მეორეს ისე სწრაფად სცვლიდა, ყოველთვის ქალი იმგვარს მდგომარეობაში იყო, რომ დრო არ ჰქონდა დაფიქრებულიყო, დრო არა ჰქონდა აეწონ-დაეწონა ცხოვრების ავ-კარგი თვისებანი; მით უფრო, რომ ამ მოქმედების გამოსაწვევად ჯერ კიდევ მიზეზი არ მისცემოდა.

იგი ჰგრძნობდა, რომ ბედნიერი იყო, თითქმის ყოველ დღე, ყოველს საათს, ყოველს წუთს სტკბებოდა ამ ბედნიერებით, ჰხედავდა, რომ დანარჩენი მისი ამხანაგი ქალები ისევე სცხოვრობდნენ ტკბილად, ფუფუნებაში და არაფერი ედარდებოდათ. მხოლოდ ახლა ერთმა ჰაღარამ, ისე უცნაურად გამორეულმა იმისს კუმეტსავით შავ თმაში, აგრძნობინა ისეთი სიმწარე, რომლისთანაც თავისს დღეში არ გამოეცადნა, დაანახვა ის, რომ ადამიანის არსება ცვალებადია, რომ სილამაზე და სიყმაწვილე უკვდავნი არ არიან ამ ქვეყნად და, მაშასადამე, ცხოვრებაც უნდა იცვლებოდესო.

ამას კარგადა ჰგრძნობდა ახლა კნეინა, მაგრამ წარსული იმდენად ტკბილი იყო, იმ ზომამდე სხივ მომფინარე, რომ ქალის არსება კვლავ მას ეპოტინებოდა, როგორც შეყვარებული ადამიანი თავისს გულის სატრფოს სამუდამოდ განშორების დროს; იგი სცდილობდა დაევიწყა აწმყოს სიცხადე და მისცემოდა წარსულის საოცნებო ზღვის ტალღას, რადგანაც წინამორბედი გრძნობა ეუბნებოდა, რომ გამოფხიზლებისათანავე შენის არსებობის ელფერი ძირითადად შეიცვლებაო.

ოცნება მძლეთა მძლეა თავისს სამფლობელოში. იგი იმ ზომამდე ცხოველ-მეტყველია, იმ ზომამდე ნაყოფიერი, რომ თვით ველურ ადამიანსაც-კი დაიმორჩილებს, დაანახვებს იმისთანა სურათებს რაც თავისს სიცოცხლეში არ მოჰსიზმრებია. და თუ ცოტაც არის ოცნებას ნიადაგი აქვს ფეხის მოსაკიდებლად, თუ რომ წარსულში ჰპოვებს საზრდოს, მაშინ-კი თვით უსწრაფესს ფრინველზედაც კი უსწრაფესია, დანავარდობს ნიავსავით შეუკავებლივ, ელვაზედ მარდად გადავლის მთას, ზღვას, კლდეს, ღრეს და ისე აფერადდება, ისე ალმხატვრდება, რომ ჰკვირდები, ჩემმა გონებამ როგორ შესძლო ამის წარმოდგენაო.

კნეინა მარიამის ცხოვრება-კი იმდენად მდიდარი იყო ათას-ნაირის მოვლენით, იმდენად ემსგავსებოდა თვით ოცნებას, რომ საკმარისი იყო მხოლოდ თვალები დაეხუჭა და ის ნეტარნი სურათნი თვითვე დაიბადებოდნენ ძალა-დაუტანებლივ, „წარსულის აკლდამა“ კარებს გააღებდა, მრავალ-გვარი გრძნობანი აღდგებოდნენ მკვდრეთით და კვლავ ცხოველ მყოფელად გულს მოესალბუნებოდნენ.

ილია ელეფთერიძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტი ამ საგნის შესახებ მოილაპარაკებს უნგრეთთან, მაგრამ შეიძლება მუდმივად გადაიქცეს, თუ იმავე პარლამენტის დასთა შორის მორიგება არ ჩამოვარდა და საერთოდ თუ პარლამენტის საქმეთ წესიერი მსვლელობა არ მიეცა.

—

**საფრანგეთი.** დრეიფუსის საქმეში გერმანიის იმპერატორიც ჩარიეს. გაზ. „Intrans" სწერს: რადგანაც დრეიფუსი კმაყოფილი არ იყო საფრანგეთით, მან გერმანიის იმპერატორს მიჰმართა და სთხოვა, შენს ჯარში მიმიღეო. გერმანიის იმპერატორმა შეუთვალა დრეიფუსს, რომ საფრანგეთის შტაბში რომ დარჩე, უფრო დიდს სამსახურს გაუწევ გერმანიასაო. ამისდა მიუხედავად, გერმანიის ჯარის უფროს კაცად მაინც ჩაგრისხავთ და, თუ ვინიცობაა ომი იქმნება, მაშინ გადმოხვალოო. იმპერატორმა ამის გამო თავისს ელჩს მიუნსტერს მისწერა წერილი, რომელშიაც დრეიფუსს ასახელებდა. ეს წერილი მოიპარეს და ფოტოგრაფის შემწეობით იმისი პირი გადაიღეს. როდესაც ელჩმა მიუნსტერმა შეამჩნია ამ წერილისა და სხვა ქაღალდების დაკარგვა, საფრანგეთის მაშინდელ მინისტრ-პრეზიდენტთან დიუპუისთან წავიდა და უთხრა, რომ თუ ქაღალდებს არ დამიბრუნებთ, დღესვე საფრანგეთიდგან წავალო. მაშინ საფრანგეთის მთავრობამ გადასცა ელჩს ქაღალდები და მხოლოდ იმპერატორის წერილის პირი დაინარჩუნაო."

## ნაკვესი

—

ერთი სოფლის ქალი წყალში დაირჩო. გლეხები ეძებდნენ დამრჩვალის გვამს. მივიდა მათთან ერთი მოხუცი და ჰკითხა:

— რას დაეძებთ მეგობრებო?

— ჩვენთან ერთად სოფელში ქალი მოდიოდა და ამ მდინარეში გამოსვლის დროს დაირჩო; ვეძებთ და ვერსად გვიპოვნია.

— ეჰ, თქვე სულელებო, მანეთიანი ამოიღეთ, დაინახავს და იმ წამსვე ამოცურდებაო, უპასუხა მოხუცმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრმა რავენშტეინმა გამოიანგარიშა, რომ 2072 წელს დედამიწის ზურგზედ ადგილი აღარ იქმნება ხალხისთვის, იმდენად გამრავლდება მცხოვრებთა რიცხვიო. გამოანგარიშებულია, რომ ამავე წლამდე ინგლისში სრულიად გამოილევა ქვის ნახშირი და თუ აწინდელი წეს-რიგი ქარხნების მუშაობისა არ შეიცვლება, მუშაობაც ძლიერ გაძნელდება, რადგან ინგლისისა და მრავალ სხვა სახელმწიფოთა ქარხნებს ამ ჟამად ინგლისის ქვის ნახშირი აწარმოებს. ამ ჟამად მთელ დედამიწაზედ სცხოვრობს დაახლოვებით ექვსასი მილიონი სული. ისიც გამოანგარიშებულია, რომ დედამიწას შეუძლიან გამოჰკვებოს დაახლოვებით ექვსი მილიარდი სული. ისიც ანგარიშშია მისაღები, რომ ათის წლის განმავლობაში ევროპაში მცხოვრებთა რიცხვს ემატება ასზე ცხრა, აზიაში ასზე—ექვსი, აფრიკაში—ათი, ავსტრალიაში—ოც-და-ათი, ჩრდილო ამერიკაში—ოც-და-ცხრა, სამხრეთ-ამერიკაში—თხუთმეტი. ორთა შუა რიცხვით მთელი დედამიწის მცხოვრებთა რიცხვს ემატება ყოველს ას კაცზედ—რვა კაცი. ამ გვარად რავენშტეინმა გამოიანგარიშა, რომ 2072 წელს მთელს დედამიწაზე იქმნება სულ ექვსი მილიარდი მცხოვრები და ამიტომ საჭირო იქმნება ღონისძიება რამ მიიღოს ადამიანმა, რომ ხალხი იმის შემდეგ აღარ გამრავლდეს. მაგრამ თვით რავონშტეინი ამბობს, ამაზედ ფიქრი ჩვენთვის სრულიად მეტი იქმნება. იმ დრომდე კაცობრიობა სხვა რასმე საშუალებას გამოიგონებს, რომ მომეტებული მცხოვრებთა რიცხვი გამოჰკვებოს. მაგალითად, შესაძლებელია, რომ მიწა ბევრ ადგილას უფრო განაყოფიერდეს და ზოგიერთი ეხლანდელი ხრიოკი ადგილიც-კი გამოიყენოს ადამიანმა. შესაძლებელია ისიც, რომ მეცნიერებამ სრულიად შესცვალოს ეხლანდელი წეს-რიგი ცხოვრებისა, ასე რომ კაცს აღარ დასჭირდება ლუკმა პურის ძებნა.

## ახალი წიგნები

ჩვენ მოგვივიდა მეორე წიგნი ბ-ნ ავქსენტი ცაგარლის დრამატიულ თხზულებათა, გამოცემული ახალ სენაკში ძმ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიის მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია შემდეგი პიესები ჩვენის ახალგაზდა დრამატიულის მწერალისა: „ერთი ნაბიჯი წინ", დრამა 4 მოქმედებად; „ხანუმა", კომედია 4 მოქმედებად; „მშვენიერ ელენეს მაძებარნი", ორ მოქმედებიანი ფარსი (გადმოკეთებული) და „ოინბაზი", ვოდევილი ერთ მოქმედებად (გადმოკეთებული). ამ პიესებს, „ერთი ნაბიჯი წინ"-ის გარდა, ჩვენ თეატრში მოსიარულე საზოგადოება კარგად იცნობს და არა ერთხელ უნახავს სცენაზედ წარმოდგენილი.

ამ პიესებს შორის „ხანუმა"-ს ავტორი უძღვნის ჩვენის სცენის ნიჭიერს არტისტ-ქალს ნ. გაბუნია-ცაგარლისას, რომელიც მართლა შეუდარებელია მაჭანკალ ხანუმას როლში.

წიგნი საკმაოდ ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 260 გვერდს, თან დართული აქვს ავტორის სურათი და ჰღირს 60 კაპ. ეს ფასი გარდამეტებულად არ ჩაითვლება, ხოლო, სამწუხაროდ, კორრექტურის მხრივ წიგნი ცოტა ვერ არის უნაკლულო და ავტორის სურათიც წიგნს ჩატანებული არა აქვს, ცალკე აქვს დართული. სასურველია, რომ ძმ. თავართქილაძეების მაღაზია დაუჩქარებდეს ბ-ნ ავქსს. ცაგარლის დანარჩენ ნაწარმოებთა გამოცემას.

## გამოსადეგი ცნობა

—

თუ გნებავთ, რომ თუთრუჯს ბრწყინვა ჰქონდეს, აი როგორ უნდა მოიქცეთ: აიღეთ სახამებელი და ნაჭერი სტეარინი და აადუღეთ, ვიდრე გასქელდება ნადუღი. მერე უმატეთ ცივი წყალი და ურიეთ. როცა კარგათ აირევა, გასწურეთ ცხენის ძუის საწურავში და ნაწურით გაასამეთ თუთრუჯი რამ სანცკალი. ამ ნაირად გახამებული მშვენივრად დაიწყებს ბრწყინვას.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 დეკემბერი

**პეტერბურგი.** შუშის მწარმოებელ ჩრდილოეთის საზოგადოების ქარხნებში ცეცხლი გაჩნდა, რომელმაც დიდი ზარალი მოახდინა. დაიწვა დირექტორ-გამგეს კანტორა და სადგომი და ქარხნების რამდენიმე განყოფილება. ქაღალდები და წიგნები გადაარჩინეს.

**ლონდონი.** დედოფალის ბრძანებით, პრინცი ლიუდვიგ ბატენბერგელი მიესალმა პორტსმუტში იქ მისულს პრინცს პრუსიისას ჰენრიხს. გუშინ, საღამოზედ, ორივე პრინცი დედოფალთან წავიდნენ ოსბორნში.

**პარიჟი.** დღეს წმ. კლოტილდას ეკკლესიაში ალფონს დოდეს გვამს ანდერძი გადაუხადეს. აუარებელი ხალხი დაესწრო. კუბოზედ გვირგვინები დააწყეს.

9 დეკემბერი

**ლონდონი.** „Times" დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: „რუსეთის სამი გემი უკვე წავიდა პორტ-არტურში. ჩინეთი თანაგრძნობით მიეგება ამას, რადგანაც ჰფიქრობს, რომ ეს მისდა სასარგებლოდ არის მომხდარი და რომ საჭირო გახდა გერმანიის მიერ კიაო-ჩაუს დაჭერის გამო".

იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდგან: „რუსეთის მიერ პორტ-ირტურის დაჭერა საზოგადო უკმაყოფილებას გამოიწვევს იაპონიაში, სადაც საზოგადოება უიმისოდაც აღელვებულია კიაო-ჩაუს დაჭერის გამო".

**კელნი.** „Kod. Fat." ატყობინებენ პარიჟიდგან, რომ ერთი კვირა იქნება რაც ინგლისის ჯავშნიანი გემი „Daplne" პორტ არტურის ნავთ-სადგურში შევიდა, ვითომდა დასარწმუნებლად, რომ რუსეთის გემები ხომ არ არიან ნავთ-სადგურში. „Daplne" წავიდა, მაგრამ ეხლა ხელ-ახლა ინგლისის ესკადრის მოსვლას მოელოდნენ, რომელიც ერთი კვირა ყვითელ ზღვაში იყო და ამ ჟამად უთუოდ ნემემვანშია. ჩინეთის მთავრობამ სახელმწიფოების წარმომადგენელთა წინაშე წინააღმდეგობა განაცხადა „Daphne" საქციელის შესახებ. უთუოდ ამასთან კავშირი აქვს იმას, რომ ჩინეთის თანხმობით, რუსეთის ესკადრა პორტ-არტურში გაჩნდა.

პეტერბურგის ბირჟა, 5 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5°/₀.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 211¼ |
| 4½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 100⅞ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. | 99¾ | — „ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. | 99¾ | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგ დოებისა . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 296 |
| 5°/₀ მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 256½ |

## შემოწირულება

## სია

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" ბათუმის სკოლისათვის შემომწირველთა:

(შემდეგი *)

| | მან. |
|---|---|
| გედევან ჩუბინიძე . . . | 10 |
| ივანე გარაყანიძე . . . | 10 |
| ოვანეს მელავორიანი . . | 10 |
| კატერგარდტი . . . | 8 |
| ომერ-აღა-არჩი-ოღლი . . | 8 |
| ძმ. პოიაჯიანები . . . | 8 |
| ვოლფ კაპლანი . . . | 8 |
| ამბაკო ღლონტი . . . | 8 |
| ნ. ნიკიფორიდი . . . | 7 |
| ა. ვ. ბეკერი . . . | 6 |
| პანასიე . . . | 6 |
| ლევან მჭედლიშვილი . . | 6 |
| ნ. იაკალის . . . | 5 |
| პ. სიმეონიდი . . . | 5 |
| ხაჩატურიანცი . . . | 5 |
| კეიგელუხეს . . . | 5 |
| კ. ა. სევერინისა . . . | 5 |
| ბენსონ . . . | 5 |
| ა. ვალენტინ . . . | 5 |
| რანე . . . | 5 |
| ვ. კენიგს . . . | 5 |
| ნ. სირონიტი . . . | 5 |
| ტვიდი . . . | 5 |
| სანბრეერ . . . | 5 |
| რომნი . . . | 5 |
| სტალბერ . . . | 5 |
| ოქროპირ გვარამაძე . . | 5 |
| დავით სოლორაშვილი . . | 5 |
| კონსტანტინე კაპარავა . . | 5 |
| სპირიდონ გურგენიძე . . | 5 |
| ძმ. გოზალოვები . . . | 5 |
| გიორგი ხუნწარია . . . | 5 |
| ვლადიმერ სალუქვაძე . . | 5 |
| იაგორ შახნაზაროვი . . | 5 |
| ილიკო ხარაბაძე . . . | 5 |
| ირაკლი გოგვაძე . . . | 5 |
| ალექსანდრე ზურაბოვი . . | 5 |
| ნიკო მოგელაძე . . . | 5 |
| ლევან თათუზოვი . . . | 5 |
| პეტრე ნაზაროვი . . . | 5 |
| მიხეილ მიხაილიდი . . | 5 |
| გიგო ბირკაია . . . | 5 |
| რომანოზ ჯოხაძე . . . | 5 |
| თემურაზ ცხადაია . . . | 5 |
| სერგო ისაევი . . . | 5 |
| გიორგი ხუნდაძე . . . | 5 |
| იანკო ბენლიხი . . . | 5 |
| ვლადიმერ ოგიევსკი . . | 5 |
| ერმილე სანიკიძე . . . | 5 |
| სანდრო გუგუშვილი . . | 5 |
| მიხეილ პარასკევოპულო . . | 5 |
| გიორგი რუხაძე . . . | 5 |

(შემდეგი იქმნება)

*) იხ. „ივერია" № 254.



# განცხადებანი

კვირას, 14 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 7 საათზედ, თბილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩაზედ) დანიშნულია

## საგანგებო კრება

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა".

მოვაგონებთ წევრთ ამხანაგობისას წესდების § 21 შენიშვნას: „უკეთუ არ შესდგა პირველი კრება, მოწოდებულ უნდა იყოს ორის კვირის შემდეგ მეორე და იგი კანონიერად ითვლება მიუხედავად იმისა, თუ რავდენი დაესწრობა მას წილის პატრონი".

(3—6.—1)

## საკონკურსო მმართველობა

საკონკურსო მმართველობა, გაკოტრებულ მოვალეთა ვასილ და ადამ ფორაქაშვილების საქმის გამო დაარსებული, ქ. ტფილისს, მე-10 ნაწილში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, მე-81 № სახლისა ამითი აცხადებს, რომ 26 იანვარს 1898 წ., დღის 12 საათზედ, საკონკურსო მმართველობის შენობაში მოხდება **ხაჯარო ვაჭრობა** და **გაიყიდება ორი უძრავი მამული** ფორაქაშვილებისა, რომელიც ტფილისის გუბერნიისა და მაზრის **სოფ. დიდ-ლილოში მდებარეობს.** გაიყიდება სახელდობრ: 1) ძველი ორ-სართულიანი სახლი, რომელიც დახურულია ძველის ყავრითა და თუნუქით. სახლის ზემო-სართულში მოთავსებულია ხუთი საცხოვრებელი ოთახი, აქვს აივანი, დერეფანი და ასავალი კიბე; ქვემო-სართულში—ოთხი ოთახია, აივანი, დერეფანი და მარანი ქვითკირის საწნახელით და 14 მიწაში ჩაშვებული ქვევრი; სახლის მახლობლადაა ყავრით დახურული ერთ-სართულიანი ქვითკირის მიშენებული, რომელშიაც მოთავსებულია სამი ოთახი აივნით, სარდაფით და ქვითკირის შენობები სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. შენობას აქვს ეზო და პატარა ბაღი, ქვითკირის ღობით შემოფარგლული. მთლად მამულს უჭირავს დაახლოვებით მიწა ზომით სიგრძით 52 არშ. და სიგანით 36 არშ. ამ საზღვართა შორის: ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით სახელმწიფო მამულია, სამხრეთით—შარა გზა და დასავლეთით—განსვენებულის დავით ფორაქაშვილის სახლი და მამული. ეს მამული საკონკურსო მმართველობის მიერ დაფასებულია **1,000 მან.** 2) ხეხილიანი ვენახი და შეუმუშავებელი მამული ძეძვის ღობით შემოფარგლული, მიწა ზომით დაახლოვებით სიგრძით 98 საჟ. და სიგანით 29 საჟ. ამ საზღვართა შორის: ჩრდილოეთით—შარა გზა და ხევია, აღმოსავლეთით—ხევი და გლეხის ვალიშვილის ბაღი, დასავლეთით—განსვენებულის დავით ფორაქაშვილის ბაღი და სამხრეთით—სახელმწიფო მამული. ბაღი ირწყვება სამორიგეო წყაროს წყლით. საკონკურსო მმართველობის მიერ დაფასებულია ეს მამული **500 მან.**

ვაჭრობა თითოეულის მამულისა ცალკე იქმნება და დაიწყება იმ თანხიდგან, როგორც დაფასებულია. **ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად მსურველთ უნდა წარუდგინონ საკონკურსო მმართველობას ბე, სახელდობრ დადებულ ფასის 10°/₀, წინააღმდეგ შემთხვევაში ნება არ მიეცემათ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა.**

(3—222—1).

„წერა-კითხვის საზოგადოების"

## წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. გიოგრაფია . . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |



Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Декабря 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.